განკარგულება:**g-49. 49262395**
თარიღი:**27/08/2026**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიში.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულება შეფასდეს დადებითად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის:ქ.ქუთაისი,კუპრაძის ქ.№11

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ანგარიში
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

შესავალი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოდგენს ერთი წლის განმავლობაში, საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით, მისაღებ და გასაცემ ფულადი სახსრების ერთობლიობას, მათი შეგროვებისა და გადახდის გეგმას.

ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საბიუჯეტო პროცესის ძირითადი ეტაპები დარეგულირებულია საბიუეტო კოდექსით, ხოლო შიდა საბიუჯეტო კალენდარს ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი.

მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155[1] მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მეექვსე პუნქტის შესაბამისად 2025 წლის 5 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მუნიციპალიტეტებს აცნობა დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები და მაკროეკონომიკური პროგნოზები. წარმოდგენილი პროგნოზების გათვალისწინებით მომზადდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 - 2029 წლების ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახელების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა. დაგეგმვისას მხედველობაში იქნა მიღებული მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები და ვალდებულებები, ის სოციალური და ინფრასტრუქტურული დაპირება რაც გაცემული იყო მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს მიერ.

წლის დასაწყისისათვის 2026 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 38 715,0 ათასი ლარით. ხოლო საანგარიშო პერიოდისათვის განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად გეგმა გაიზარდა და განისაზღვრა 60 441.7 ათასი ლარით. 2025 წლის ანალოგიუ პერიოდის ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 4477,9 ათასი ლარით (55963,8 ათასი ლარი).

I თავი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

1) ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით:

ათასი ლარი

დასახელება	2026 წლის ბიუჯეტი იანვარ - ივნისის გეგმა			2026 წლის ბიუჯეტის იანვარი - ივნისის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
I. შემოსავლები	30,032.6	9,031.5	21,001.2	33,634.7	6,413.6	27,221.2
გადასახადები	18,516.5	0.0	18,516.5	18,157.1	0.0	18,157.1
გრანტები	9,031.5	9,031.5	0.0	6,413.6	6,413.6	0.0
სხვა შემოსავლები	2,484.7	0.0	2,484.7	9,064.1	0.0	9,064.1
II. ხარჯები	21,051.4	525.8	20,525.6	17,248.4	420.4	16,828.0
შრომის ანაზღაურება	2,790.0	0.0	2,790.0	2,739.2	0.0	2,739.2
საქონელი და მომსახურება	3,526.6	338.5	3,188.1	2,460.6	277.7	2,182.9
პროცენტი	2.0	0.0	2.0	1.2	0.0	1.2
სუბსიდიები	11,976.2	159.2	11,817.0	9,955.2	139.5	9,815.8
გრანტები	37.5	0.0	37.5	1.0	0.0	1.0
სოციალური უზრუნველყოფა	1,699.9	28.1	1,671.8	1,484.9	3.2	1,481.7
სხვა ხარჯები	1,019.2	0.0	1,019.2	606.3	0.0	606.3
III. საოპერაციო სალდო	8,981.3	8,505.7	475.6	16,386.4	5,993.2	10,393.2
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	14,761.7	9,181.5	5,580.3	4,150.5	6,333.4	-2,182.9
ზრდა	14,911.7	9,181.5	5,730.3	8,590.7	6,333.4	2,257.3
კლება	150.0	0.0	150.0	174.5	0.0	174.5
V. მთლიანი სალდო	-5,780.5	-675.8	-5,104.7	2,397.9	-340.2	2,738.1

VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-5,810.5	-675.8	-5,134.7	-946.5	-340.2	-606.3
ზრდა	0.0	0.0	0.0	8,282.6	0.0	8,282.6
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0		8282.6		8,282.6
კლება	5,810.5	675.8	5,134.7	340.2	340.2	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	5,810.5	675.8	5,134.7	340.2	340.2	
VII. ვალდებულებების ცვლილება	-30.0	0.0	-30.0	-27.8	0.0	-27.8
კლება	30.0	0.0	30.0	27.8	0.0	27.8
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	30.0	0.0	30.0	27.8	0.0	27.8
VIII. ბალანსი	0.0	0.0	0.0	3,316.6	0.0	3,316.6

შენიშვნა: ბალანსში გათვალისწინებულია ბიუჯეტის ანგარიშებზე მობრუნებული თანხები.

2) **საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან**

ათასი ლარი

დასახელება	2026 წლის ბიუჯეტი იანვარ - ივნისის გეგმა			2026 წლის ბიუჯეტი იანვარ - ივნისის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	30,182.6	9,031.5	21,151.2	33,809.2	6,413.6	27,395.7
შემოსავლები	30,032.6	9,031.5	21,001.2	33634.7	6413.6	27221.2
არაფინანსური აქტივების კლება	150.0	0.0	150.0	174.5	0.0	174.5
გადასახდელები	35993.1	9707.3	26285.8	25839.1	6753.8	19085.3
ხარჯები	21051.4	525.8	20525.6	17248.4	420.4	16828.0

არაფინანსური აქტივების ზრდა	14911.7	9181.5	5730.3	8590.7	6333.4	2257.3
ვალდებულებების კლება	30.0	0.0	30.0	0.0	0.0	0.0
ნაშთის ცვლილება	-5,810.5	-675.8	-5,134.7	7,970.2	-340.2	8,310.4

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის საანგარიშო პერიოდის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 30182,6 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 33809,2 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 112%.

სახეობების მიხედვით შემოსულობების ხვედრითი წილი:



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის საანგარიშო პერიოდის ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 30032,6 ათასი ლარი, ფაქტიურად 33634,7 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 112% შეადგინა.

ათასი ლარი



ა) საგადასახადო შემოსავლები ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 18157,1 ათასი ლარი და 2025 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 14635,4 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 3521,7 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის:

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 13819,7 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2025 წლის ფაქტი 12528,0 ათასი ლარი) შედარებით 1291,7 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

ქონების გადასახადის გეგმა საანგარიშო პერიოდში შეადგინა 1309,1 ათას ლარი, მიღებულია - 4337,4 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია - 4239,1 ათასი ლარი, სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ფიზიკური პირებიდან - 39,3 ათასი ლარი. ხოლო იურიდიული პირებიდან - 24,4 ათასი ლარი. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ფიზიკური პირებიდან - 14,0 ათასი ლარი. ხოლო იურიდიული პირებიდან - 19,4 ათასი ლარი.

ათასი ლარი

დასახელება	2026 წლის ბიუჯეტი იანვარ - ივნისის გეგმა			2026 წლის ბიუჯეტი იანვარ - ივნისის ფაქტი			%
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
გადასახადები	18,516.5	0.0	18,516.5	18,157.1	0.0	18,157.1	98.1
დღგ	17,207.4		17,207.4	13,819.7		13,819.7	80.3
ქონების გადასახადი	1,309.1	0.0	1,309.1	4,337.4	0.0	4,337.4	331.3
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1,245.6		1,245.6	4,239.1		4,239.1	340.3
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1.0	0.0	1.0	1.3	0.0	1.3	133.8
არაეკონომიკური საქმიანობისთვის	1.0		1.0	1.3		1.3	133.8

გამოყენებულ უძრავ ქონებაზე							
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	31.5	0.0	31.5	63.6	0.0	63.6	202.3
ფიზიკურ პირებიდან	29.1		29.1	39.3		39.3	134.9
იურიდიულ პირებიდან	2.3		2.3	24.4		24.4	1,038.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	31.0	0.0	31.0	33.4	0.0	33.4	107.4
ფიზიკურ პირებიდან	20.3		20.3	14.0		14.0	69.1
იურიდიულ პირებიდან	10.8		10.8	19.4		19.4	179.4

ბ) გრანტები საანგარიშო პერიოდისათვის ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 6413,6 ათასი ლარი. მათ შორის:

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები - 33,0 ათასი ლარი, საგრანტო პროექტის სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის ფარგლებში.

მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 505,2 ათასი ლარი (მათ შორის მიღებულ იქნა საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება - 234.5 ათ. ლარი, ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი - 234.0 ათ. ლარი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგიტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახებისათვის გამოყოფილი იქნა საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ინვენტარის შესაძენად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ოჯახების დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივ ასანაზღაურებლად - 25.0 ათ. ლარი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის, ილია II-ის დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით, მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერიდან - 11,7 ათასი ლარი).

ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები - 5875.3 ათასი ლარი, მათ / შორის: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის №102 განკარგულებით დაფინანსდა 5430.5 ათ. ლარი, მათ შორის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოფშკვითში სანიაღვრე სისტემების მოწყობა - რეაბილიტაცია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საჩხეურიუსა და დღნორისის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, სოფელ ქვიტირში #10, 22 , 25, 11,4,5 და პირველი ქუჩა მე-11, მე-13, მე-7 ჩიხის გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია, ქალაქ წყალტუბოში

ნინოშვილის, ავალიანის და წერეთლის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა - რეაბილიტაციის სამუშაოები, სოფელ მეჩხერში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ.ფარცხანაყანებში სალიის უბანში, გოცირიძეების უბანში და შიდა გზების ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები. სოფ.ფარცხანაყანებში კოპიტნარის და დევნილთა დასახლებაში საავტომობილო გზის ბეტონის საფარით და სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები. სოფ. გეგუთში მეურნეობის დასახლებაში, სოფ. ოფშკვითში ბაბუნაშვილების უბანში, ბანძელაძეების უბანი (II უბანი ჩხობაძეების დამაკავშირებელი) გზის ბეტონით საფარის მოწყობა, ასევე სოფ. ბენთქოულაში , სოფ. ყუმისთავში ტუსკაძეების უბანში და სოფ. საყულიაში სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბულიტაცია ბეტონის საფარით.

,,მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 30 აპრილის #878 განკარგულებით დაფინანსდა 220,4 ათ. ლარით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საჩხეურისა და დღნორისის დამაკავშირებელი გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაციისათვის.

,,სოფლის მხარდაჭერი პროგრამის ფარგლებში” საქართველოს მთავრობის 2026 წლის 26 იანვრის #85 განკარგულებით დაფინანსდა 209,7 ათ. ლარით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურეობის შესყიდვა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში (რიონი, ზარათი, მეჩხერი, ნოღა, სორმონი, ჭოლევი, ცხუნკური, ქვილიშორი, გაღმა ჩუნეში) 2 ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საჭირო მზა ბეტონის შესყიდვა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში: გუმბრა (გურეშიძეების უბანი) ხომული (მე-18 ქუჩის N 34 ჩიხი), ხომული (მე- 20 ქუჩის მე-18 ჩიხი), ოფურჩხეთში, ნამოხვანში და ჟონეთში მზა ბეტონის შესყიდვის სამუშაოების ღირებულება, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში რიონში და ჭოლევში მზა ბეტონის შესყიდვის სამუშაოების ღირებულება.

,,ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბერის #2260 განკარგულებით დაფინანსდა 14,7 ათ. ლარით საჯარო სკოლების სარემონტო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება.

ათასი ლარი

დასახელება	2026 წლის ბიუჯეტი იანვარ - ივნისის გეგმა			2026 წლის ბიუჯეტი იანვარ - ივნისის ფაქტი			%
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
გრანტები	9,031.5	9,031.5	0.0	6,413.6	6,413.6	0.0	71.0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0.0			33.0	33.0		#DIV/0!

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	9,031.5	9,031.5	0.0	6,380.5	6,380.5	0.0	70.6
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	787.7	787.7	0.0	505.2	505.2	0.0	64.1
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	787.7	787.7		505.2	505.2		64.1
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	8,243.7	8,243.7	0.0	5,875.3	5,875.3	0.0	71.3
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	7,839.7	7,840		5,665.6	5,665.6		72.3
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	404.0	404.0		209.7	209.7		51.9

გ) სხვა შემოსავლები საანგარიშო პერიოდისთვის ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 9064,1 ათასი ლარი და 2025 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 4728,7 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 4335,4 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის: პროცენტის სახით მიღებულია 778,1 ათასი ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 286,7 ათასი ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 49,7 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი - 45,6 ათასი ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი (სისტემურ - ელექტრონული ფორმის თამაშებიდან) – 4300,0 ათასი ლარი. ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 117,5 ათასი ლარი, შემოსავლები მომსახურების გაწევიდან - 59,4 ათასი ლარი (სახელმწიფო შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან მიღებული შემოსავალი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული შენობებისა და ნაგებობის იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემოდან მიღებული შემოსავალი. ჯარიმები, სანქციები და საურავები - 3343,5 ათასი ლარი, ნებაყოფლობითი ტრანსფერები გრანტების გარეშე - 83,6 ათასი ლარი.

დ) არაფინანსური აქტივების კლება საანგარიშო პერიოდისათვის ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 174,5 ათასი ლარი. მათ შორის: ძირითადი აქტივები - 43,3 ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 131,2 ლარი.



ე) ხარჯები ეკონომიკური მუხლების მიხედვით

ათასი ლარი

დასახელება	2026 წლის ბიუჯეტი იანვარ - ივნისის გეგმა			2024 წლის ბიუჯეტის იანვარი - ივნისის ფაქტი			%
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
II. ხარჯები	21,051.4	525.8	20,525.6	17,248.4	420.4	16,828.0	81.9
შრომის ანაზღაურება	2,790.0	0.0	2,790.0	2,739.2	0.0	2,739.2	98.2
საქონელი და მომსახურება	3,526.6	338.5	3,188.1	2,460.6	277.7	2,182.9	69.8
პროცენტი	2.0	0.0	2.0	1.2	0.0	1.2	59.8
სუბსიდიები	11,976.2	159.2	11,817.0	9,955.2	139.5	9,815.8	83.1
გრანტები	37.5	0.0	37.5	1.0	0.0	1.0	2.8
სოციალური უზრუნველყოფა	1,699.9	28.1	1,671.8	1,484.9	3.2	1,481.7	87.4
სხვა ხარჯები	1,019.2	0.0	1,019.2	606.3	0.0	606.3	59.5

ვ) ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით შემდეგია:

ათასი ლარი:

org. kodi	დასახელება	2026 წლის ბიუჯეტი იანვარ - ივნისის გეგმა	2026 წლის ბიუჯეტის იანვარი - ივნისის ფაქტი	%
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	75,0	22,3	29,7
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	13290,1	7361,5	55,4
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	262,8	242,1	92,1
04 00	განათლება	716,9	568,2	79,3
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	560,4	393,9	70,3
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	6,6	2,7	40,9
	სულ	14911,8	8590,7	57,6

დასახელება	2026 წლის ბიუჯეტი იანვარ - ივნისის გეგმა	2024 წლის ბიუჯეტის იანვარი - ივნისის ფაქტი	%
არაფინანსური აქტივების კლება	150,0	174,5	116,3
ძირითადი აქტივები	50,0	43,3	86,5
არაწარმოებული აქტივები	100,0	131,2	131,2
მიწა	100,0	131,2	131,2

II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

წყალტუბო ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ქალაქია საქართველოში, რომელიც უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, ქალაქის ცნობადობის გაზრდას, გამართული სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის შექმნას და ეკოლოგიური გამწვანების სტანდარტების დაცვას, ეფექტიან მართვას, ადგილობრივი პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას.

აქედან გამომდინარე მიმდინარე წელსაც ეფექტურად გრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორიცაა საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების, ეზოების, არსებული წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემის, აგრეთვე გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა - შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება, რათა მაქსიმალურად ხელი შეეწყოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ საანგარიშო პერიოდისთვის 25866,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (35993,1 ათასი ლარი) 71,9 პროცენტია. ხოლო წინა წელთან შედარებით (2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ ანალოგიურ პერიოდში შეადგინა 28282,8 ათასი ლარი) დახარჯულია2415,9 ათასი ლარით ნაკლები.

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 21051,4 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა - 17248,4 ათასი ლარი, რაც გეგმის 81,9%-ია.

შრომის ანაზღაურების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2790,0 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა - 2739,2 ათასი ლარი, რაც გეგმის 98,2%-ია.

საქონელი და მომსახურების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 3526,6 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა 2460,6 ათასი ლარი, რაც გეგმის 69,8 %-ია.

პროცენტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2,0 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა - 1,2 ათასი ლარი, რაც გეგმის 59,8 %-ია.

სუბსიდიების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 11976,2 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა 9955,2 ათასი ლარი, რაც გეგმის 83,1 %-ია. აღნიშნულით დაფინანსდა მუნიციპალიტეტის დაფინანსებაზე მყოფი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, როგორც შრომის ანაზღაურება, ასევე ადმინისტრაციული ხარჯები, სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებები, სკოლამდელი ასაკის ბავშვების კვების ხარჯი, სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებები, დასუფთავების ღონისძიებები, მოხდა ეპარქიების სუბსიდირება და ა.შ.

გრანტების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 37,5 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა 1,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 2,8%-ია.

სოციალური უზრუნველყოფის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1699,9 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა 1484,9 ათასი ლარი, რაც გეგმის 87,4%-ია. აღნიშნულის ფარგლებში დაფინანსდა სოციალური პროგრამები, როგორიცაა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება, ოჯახების წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარებები, სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება, დედმამით ობოლ ბავშვთა დახმარება, თანამშრომელთა საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება და სხვა.

სხვა ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1019,2 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა 606,3 ათასი ლარი, რაც გეგმის 59,5 %-ია. აღნიშნულის ფარგლებში დაფინანსდა ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი, საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება, ომის მონაწილეთა და უჭირისუფლო გარდაცვლილთა დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურება, ბინათმესაკუთრეთა თანადაფინანსება და ა.შ.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 14911,7 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა - 8590,7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 57,6 %-ია. აღნიშნულის ფარგლებში დაფინანსდა გზების კაპიტალური შეკეთება, სასმელი წყლის ქსელისა და სანიაღვრე სისტემების მოწყობა, სპორტული მოედნების, საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, ავარიული შენობების რეაბილიტაცია - მოწყობა, საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - მოწყობა, გარე განათების ქსელის მოწყობა - დაერთება და ა. შ.

პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსების სრტრუქურა შემდეგია:

პროგრამუ	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2026 წლის ბიუჯეტი იანვარ - ივნისის გეგმა		2026 წლის ბიუჯეტი იანვარ - ივნისის ფაქტი		შესრულების %
		სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის	

ლი კოდი			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
00 00	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	35,993.1	9,707.3	26,285.8	25,866.9	6,753.8	19,113.1	71.9
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	4,073.8	0.0	4,073.8	3,614.1	0.0	3,614.1	88.7
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	17,946.4	8,597.1	9,349.3	10,918.6	5,767.1	5,151.5	60.8
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,872.6	0.0	1,872.6	1,721.9	0.0	1,721.9	92.0
04 00	განათლება	5,508.9	922.8	4,586.1	4,170.2	844.1	3,326.2	75.7
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	4,103.5	0.0	4,103.5	3,335.5	0.0	3,335.5	81.3
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,487.9	187.3	2,300.6	2,106.5	142.7	1,963.9	84.7

1. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00)

აღნიშნული პროგრამა მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას ან/და დაკავშირებულია შესაბამის სფეროში სხვადასხვა საკითხების რეგულირებასთან, როგორიცაა საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება, მათ შორის: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება და სხვა. ასევე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორიცაა სარეზერვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება, კადრების მომზადება-გადამზადება.

სულ აღნიშნულ პერიოდში მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 3614,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (4073,8 ათასი ლარი) 88,7 პროცენტია. ხოლო წინა წელთან შედარებით (2025 წლის ბიუჯეტის მმართველობის და

საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსებამ ანალოგიურ პერიოდში შეადგინა 3524,9 ათასი ლარი) დახარჯულია 89,2 ათასი ლარით მეტი.

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 960,5 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 2648,7 ათასი ლარი, კადრების მომზადება - გადამზადება 4,9 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში, სარეზერვო ფონდიდან (გეგმა - 60,0 ათასი ლარი) მერის გადაწყვეტილებით გამოყოფილია 33,3 ათასი ლარი, ხოლო გახარჯულია 33,3 ათასი ლარი, მათ შორის:

№	თარიღი	ბრძანებ. №	ბრძანების თარიღი	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი
1	20.03.2026	48. 482607914	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისათვის, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის პანაშვიდსა და დაკრძალვაზე პატივის მისაგებად თბილისში ტრანსპორტირების უზრუნველყოფის მიზნით.	33280	33280
სულ თანხა:				33280	33280

2. ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)

აღსანიშნავია, რომ ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებას ყველაზე დიდი ხვედრითი წილი უჭირავს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში. ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე სახსრების მიმართვით ნაწილობრივ უზრუნველყოფილი იქნა მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ- ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რამაც ხელი შეუწყო ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებას, ტურიზმის, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარებას. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია, რომ 2026-2029 წლებში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 10918,6 ათასი ლარით, რაც გეგმის (17946,4 ათასი ლარი) 60,8 პროცენტია. ხოლო წინა წელთან შედარებით (2025 წლის ბიუჯეტის ინფრასტრუქტურის განვითარების ხარჯების დაფინანსებამ ანალოგიურ პერიოდში შეადგინა 14365,7 ათასი ლარი) დახარჯულია 3447,1 ათასი ლარით ნაკლები. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

პროგრამუ	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2026 წლის ბიუჯეტი იანვარ - ივნისის გეგმა		2026 წლის ბიუჯეტი იანვარ - ივნისის ფაქტი		შესრულე
		სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის	

ლი კოდი			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	ბის %
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	17,946.4	8,597.1	9,349.3	10,918.6	5,767.1	5,151.5	60.8
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	8,607.7	5,794.9	2,812.8	5,520.4	4,559.6	960.8	64.1
02 01 01	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	7,329.8	5,794.7	1,535.1	4,743.9	4,559.6	184.3	64.7
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	1,162.8	0.0	1,162.8	718.4	0.0	718.4	61.8
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	115.0	0.0	115.0	58.1	0.0	58.1	50.5
02 01 04	ხიდების და ბოგირების მშენებლობა	0.1	0.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	3,477.2	2,394.2	1,083.0	1,331.1	1,038.8	292.3	38.3
02 02 01	სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაცია	2,546.9	2,017.1	529.8	1,249.3	1,038.8	210.5	49.1
02 02 02	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	930.3	377.1	553.1	81.8	0.0	81.8	8.8
02 03	გარე განათება	749.9	0.0	749.9	522.9	0.0	522.9	69.7
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	521.0	0.0	521.0	520.4	0.0	520.4	99.9

02 03 02	გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა	228.9	0.0	228.9	2.5	0.0	2.5	1.1
02 04	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	823.0	0.0	823.0	566.8	0.0	566.8	68.9
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	706.3	0.0	706.3	365.7	0.0	365.7	51.8
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2,704.3	2.1	2,702.2	2,140.2	0.0	2,140.2	79.1
02 06 01	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანება, გარე განათება და კეთილმოწყობა	2,058.4	0.0	2,058.4	1,865.9	0.0	1,865.9	90.6
02 06 03	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	645.8	2.1	643.8	274.2	0.0	274.2	42.5
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	507.6	406.0	101.7	208.4	168.7	39.7	41.0
02 08	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	55.0	0.0	55.0	6.0	0.0	6.0	10.9
02 09	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	164.7	0.0	164.7	107.6	0.0	107.6	65.3
02 10	მოქალაქეთა ჩართულობა	150.7	0.0	150.7	149.7	0.0	149.7	99.3

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01) დაფინანსებულია 5520,4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 8607,7 ათასი ლარის 64,1%-ია) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 01 01 გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2026 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 7329,8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 4743,9 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური ტრანსფერი - 2717.2 ათასი ლარი), რაც გეგმის 64.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა, კაპიტალურად შეკეთებული გზები. უზრუნველყოფილია უსაფრთხო და კომფორტული მიმოსვლა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდებოდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება / რეაბილიტაცია და ახალი გზის მოწყობა ასფალტო ბეტონის ან / და ბეტონის საფარით. ასევე ანაზღაურებული იქნა საგარანტიო თანხები.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის №102 განკარგულების დაფინანსებითა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით შესრულდა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ბეტონის საფარით მოწყობა, კერძოდ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საჩხეურისა და დღნორისის დამაკავშირებელი გზის, სოფელ ქვიტირში #10, 22 , 25, 11, 4, 5 და პირველი ქუჩა მე-11, მე-13, მე-7 ჩიხის გზის, სოფელ ფარცხანაყანებში სალიის უბანში, გოცირიძეების უბანში, სოფელ ბენთქოულაში, სოფელ ყუმისთავში ტუსკაძეების უბანში და სოფელ საყულიაში სოფლის შიდა საუბნო გზების, სოფელ ოფშკვითში ბაბუნაშვილების უბანში, ბანძელაძეების (II უბანი ჩხობაძეების დამაკავშირებელი), სოფელ ფარცხანაყანებში კოპიტნარის და დევნილთა დასახლებაში.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2025 წელს გზების მოწყობა ბეტონის საფარით - 40.5 კმ. **დაგეგმილი მაჩვენებელი** - არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლისა.
მიღწეული მაჩვენებელი - გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.

02 01 02 გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2026 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 1162,8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 718,4 ათასი ლარით, რაც გეგმის 61,8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის შეკეთებული და მოწესრიგებული გზები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდისა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის სამუშაოები. ასევე დაფინანსდა შიდა საავტომობილო გზების მიმდინარე ორმოული შეკეთების (მოვლა - შენახვის) სამუშაოები.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2025 წელს ორმოულად შეკეთებული გზების საერთო სიგრძე - 3.5 კმ.
დაგეგმილი მაჩვენებელი - არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.
მიღწეული მაჩვენებელი - ორმოულად შეკეთებული გზების საერთო სიგრძე.

საბაზისო მაჩვენებელი - 2025 წელს თოვლის საფარისაგან გაწმენდილი გზების საერთო სიგრძე - 76 კმ.
დაგეგმილი მაჩვენებელი - არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.
მიღწეული მაჩვენებელი - თოვლის საფარისაგან გაწმენდილი გზების საერთო სიგრძე.

02 01 03 საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2026 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 115,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 58,1 ათასი ლარით, რაც გეგმის 50,5 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის შეკეთებული და მოწესრიგებული გზები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სექციური სიჩქარის კონტროლისა და ზოგადი ხედვის ვიდეო სამეთვალყურეო კამერების შეკეთების მომსახურება. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, სიჩქარის შემზღუდავი ბორცვების შესყიდვა.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მოვლა პატრონობაში არსებული კამერების რაოდენობა -15.
დაგეგმილი მაჩვენებელი -მოვლა-პატრონობაში არსებული კამერების რაოდენობა -112.
მიღწეული მაჩვენებელი - მოვლა-პატრონობაში არსებული კამერების რაოდენობა -112.

ბ) წყლის სისტემების განვითარება (პროგრამული კოდი 02 02) დაფინანსებულია 1331,1 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 3477,2 ათასი ლარის 38,3%-ია) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 02 01 სანიარვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაცია

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2026 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 2546,9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1249,3 ათასი ლარით, რაც გეგმის 49,1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: სანიაღვრე სისტემის მოწესრიგებით ნალექების გამტარუნარიანობის ზრდა, რაც განაპირობებს უხვი ნალექიანობით გამოწვეული ზიანის შემცირებას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის №102 განკარგულების დაფინანსებითა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით შესრულდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოფშკვითსა და სოფელ წყალტუბოში სანიაღვრე არხის მოწყობა - რეაბილიტაცია.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2025 წელს მოწყობილი სანიაღვრე არხის სიგრძე - 4,1 კმ. **დაგეგმილი მაჩვენებელი** - მოწყობილი სანიაღვრე არხის სიგრძე.
მიღწეული მაჩვენებელი - მოწყობილი სანიაღვრე არხის სიგრძე.

02 02 02 სასმელი წყლით უზრუნველყოფა

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2026 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 930,3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 81,8 ათასი ლარით, რაც გეგმის 8,8 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მუნიციპალიტეტის მოსახლეობას გააჩნია შეუფერხელები წვდომა სასმელ წყალზე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სასმელი წყლის კომუნალური ხარჯის ანაზღაურება. ასევე ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა წყალტუბოს

მუნიციპალიტეტის სოფელ ქვილიშორში (ზედა ქვილიშორი 3,3 კმ.) სასმელი წყლის ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია, ბროწეულას დასახლებაში სასმელი წყლის ქსელის მოწყობა - აბონენტად აყვანის ხარჯი, ყუმისთავში და გუმბრაში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2025 წელს რეაბილიტირებული-მოწყობილი სასმელი წყლის ქსელის სიგრძე - 15.9 კმ.
დაგეგმილი მაჩვენებელი - რეაბილიტირებული-მოწყობილი სასმელი წყლის ქსელის სიგრძე.
მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტირებული-მოწყობილი სასმელი წყლის ქსელის სიგრძე.

გ) გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03) დაფინანსებულია 522,9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 749,9 ათასი ლარის 69,7%-ია) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 03 01 გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2026 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 521,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 520,4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99,9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია ქალაქის გარე განათების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება. გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე აღრიცხულ განათების წერტილების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურებას.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახლეობა 90%.
დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.
მიღწეული მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნდა.

02 03 02 გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2026 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 228,9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,5 ათასი ლარით, რაც გეგმის 1,1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში მოხდა ახალი ქსელის დაერთების დაფინანსება - სიმძლავრის აღრიცხის დაერთების ხარჯი (სოფ. ყუმისთავში ტუმბო აგრეგატისათვის, სოფ. ქვიტირის საჯარო სკოლის მიმდებარედ სპორტული მოედნისთვის).

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2025 წელს ახალი სანათი წერტილების რაოდენობა - 85.
დაგეგმილი მაჩვენებელი - ახალი სანათი წერტილების რაოდენობა.
მიღწეული მაჩვენებელი - ახალი სანათი წერტილების რაოდენობა.

დ) ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04)

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2026 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 823,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 566,8 ათასი ლარით, რაც გეგმის 68.9 %-ია.
დაგეგმილი შუალედური შედეგი:
საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ქალაქ წყალტუბოში ცენტრალური პარკის შესასვლელთან ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის არსებული შენობის ახლით ჩანაცვლების სამუშაოები. ქალაქ წყალტუბოში, მუსიკალური სკოლის შენობისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიის კლუბის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:
საბაზისო მაჩვენებელი - 2025 წელს განხორციელებული პროექტების რაოდენობა - 3.
დაგეგმილი მაჩვენებელი - განსახორციელებული პროექტების რაოდენობა 2.
მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელებული პროექტების რაოდენობა 2.

ე) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება (პროგრამული კოდი 02 05)

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2026 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 706.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 365.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 51.8 %-ია, განსახორციელებელი პროექტები გადავიდა ვალდებულებით მომდევნო წელს.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი გარემო.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში ფინანსდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსება საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობისათვის.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2025 წელს ამხანაგობით დაფინანსებული პროექტები - 23.
დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამით დასაფინანსებელი პროექტები 15.
მიღწეული მაჩვენებელი - პროგრამით დაფინანსებული პროექტების რაოდენობა 13.

ვ) კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 06) დაფინანსებულია 2140.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2704.3 ათასი ლარის 79.1 %-ია) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 06 01)

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი
2026 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 2058.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 1865.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 90.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: ქალაქის გაუმჯობესებული იერსახე;
საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის“ მიერ შესრულებულია შემდეგი სახის სამუშაოები: დიდთოვლობის დროს ცენტრი გადავიდა 24 საათიან სამუშაოზე. თოვლის საფარისგან გათავისუფლდა ხე-მცენარეები, წაქცეული ხეების შედეგად საფეხმავლო და საავტომობილო გზების გათავისუფლება - გაწმენდა ხორციელდებოდა ოპერატიულად. ასევე სპეც ტექნიკის საშუალებით ხდებოდა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების გაწმენდა თოვლის საფარისგან. ასევე საანგარიშო პერიოდში მოიჭრა გამხმარი ფაუტიანი და ავარიული ხეები. ქალაქის ტერიტორიაზე დაქირავებული ამწე-კრანისა და ამწე - კალათის საშუალებით გადაიბელა ჭადრის ჯიშის ხეები, სათიბი მანქანების საშუალებით გაიცელა ქალაქის ქუჩები, სკვერები, კუნძულები, ცენტრალური პარკი.

ცენტრის მხრიდან ყოველდღიურად ხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე ხე - მცენარეების დარგვა და ნიადაგის განოყიერება, მოხეტიალე პირუტყვის აღნუსხვა, გარე განათების ქსელის დაზიანებული ნათურების გამოცვლა.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2025 წელს გადაბელილი და მოჭრილი ხე-მცენარეების რაოდენობა 110.
დაგეგმილი მაჩვენებელი - გადაბელილი და მოჭრილი ხე-მცენარეების რაოდენობა.
მიღწეული მაჩვენებელი - გადაბელილი და მოჭრილი ხე-მცენარეების რაოდენობა.

საბაზისო მაჩვენებელი - 2025 წელს მოვლა - პატრონობაში არსებული სკვერების რაოდენობა 22.
დაგეგმილი მაჩვენებელი - მოვლა - პატრონობაში არსებული სკვერების რაოდენობა 22.
მიღწეული მაჩვენებელი - მოვლა - პატრონობაში არსებული სკვერების რაოდენობა 22.

საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 06 03)

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2026 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 645.8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 274.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 42.5 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მოსახლეობის სამოქალაქო აქტივობების სრულყოფილად განხორციელების მიზნით მოწესრიგებულია და რეაბილიტირებულია მუნიციპალიტეტში არსებული სივრცეები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 2025 წლის გარდამავალი ვალდებულებები, კერძოდ ქალაქ წყალტუბოში ევდოშვილის ქუჩაზე და ხანძთელის ქუჩის გაგრძელებაზე სკვერის მოწყობა, სოფელ პატრიკეთში და ოფშკვითში (აჭარლების დასახლებაში) ფანჩატურის მოწყობა, შანიძის ქუჩაზე სკვერის მოწყობა, დედაენის ქუჩაზე სკვერის მოწყობა, 9 აპრილის ქუჩაზე (დევნილთა დასახლება) სკვერის მოწყობა, სოფელ თერნალში სკვერის მოწყობა და სოფელ ზედა მესხეთში მოსაცდელის მოწყობა.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2025 წელს მოწყობილი სკვერებისა და თავსეყრის ადგილების რაოდენობა - 2.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოწყობილი სკვერებისა და თავსეყრის ადგილების რაოდენობა 10.

მიღწეული მაჩვენებელი - მოწყობილი სკვერებისა და თავსეყრის ადგილების რაოდენობა 9.

ზ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 07) 2026 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 507.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 208.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 41.0 %-ია.

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

დაგეგმილი შუალედური შედეგი: სოფლად ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იქნა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების დაფინანსება.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მიღწეული მაჩვენებელი - შეძენილი და განხორციელებული პროექტების რაოდენობა - 0.

თ) საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა (პროგრამული კოდი 02 08) 2025 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 55,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 6,0 ათასი ლარით, რაც გეგმის 10.9 %-ია.

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

დაგეგმილი შუალედური შედეგი: სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაგეგმილ იქნა მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2025 წელს შექმნილი საპროექტო დოკუმენტაციის რაოდენობა 65.

დაგეგმილი მაჩვენებელი - შექმნილი საპროექტო დოკუმენტაციის რაოდენობა.

მიღწეული მაჩვენებელი - შექმნილი საპროექტო დოკუმენტაციის რაოდენობა.

ი) სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა (პროგრამული კოდი 02 09) 2026 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 164,7 ათასი ლარით. დაფინანსდა 107.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 65.3%-ია.

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

დაგეგმილი შუალედური შედეგი: შედგენილია ხარისხიანი საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში ფინანსდება სამშენებლო სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ორგანიზაციისა და სპეციალისტების მომსახურების შეძენა, კერძოდ 50,0 ათ. ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურლი პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2025 წელს პროექტების რაოდენობა რომელთაც ჩაუტარდა ზედამხედველობა 60.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროექტების რაოდენობა რომელთაც ჩაუტარდა ზედამხედველობა.

მიღწეული მაჩვენებელი - პროექტების რაოდენობა რომელთაც ჩაუტარდა ზედამხედველობა.

კ) მოქალაქეთა ჩართულობა (პროგრამული კოდი 02 10) 2026 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 150,7 ათასი ლარით. დაფინანსდა 149,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 99,3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მოსახლეობის ჩართულობა საბიუჯეტო პროცესში.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა დეკორატიული ქვის საზურგიანი სკამების (33 ერთეული), დეკორატიული ქვის უსაზურგო სკამების (35 ერთეული), დეკორატიული ქვის ტალღისებური სკამების (6 ერთეული), დეკორატიული ქვის ჭადრაკის მაგიდების (12 ერთეული) და დეკორატიული ქვის ურნების (30 ერთეული) შესყიდვა თანმდევი მიწოდებისა და მონტაჟის მომსახურებით. ასევე საგარანტიო თანხების ანაზღაურებას.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 1721,9 ათასი ლარით, რაც გეგმის (1872,6 ათასი ლარი) 92,0 პროცენტია. ხოლო წინა წელთან შედარებით (2025 წლის ბიუჯეტის დასუფთავება და გარემოს დაცვის ხარჯების დაფინანსებამ ანალოგიურ პერიოდში შეადგინა 1811,9 ათასი ლარი) დახარჯულია 90,0 ათასი ლარით ნაკლები. თანხები გადანაწილდა შემდეგი

მიმართულებით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2026 წლის ბიუჯეტი იანვარ - ივნისის გეგმა			2026 წლის ბიუჯეტი იანვარ - ივნისის ფაქტი			შესრულების %
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,872.6	0.0	1,872.6	1,721.9	0.0	1,721.9	92.0
03 01	სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის	343.6	0.0	343.6	321.2	0.0	321.2	93,5
03 02	უპატრონო ცხოველების ოპერირება	30.0	0.0	30.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 06	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება	1,499.0	0.0	1,499.0	1,400.7	0.0	1,400.7	93.4

ა) სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის (პროგრამული კოდი 03 01) 2026 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 343,6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 321,2 ათასი ლარით, გეგმა შესრულდა 93,5%-ით.

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია

დაგეგმილი შუალედური შედეგი: სუფთა გარემო.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა მივლინების ხარჯები, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება და ევროკავშირის (INTERREG VI-B) შავი ზღვის აუზის ქვეყნების NEXT პროგრამის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის „სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის Smart4Rural“ (პროექტის კოდი: BSB00464) ფარგლებში აპლიკაციის შექმნა, განთავსება და სისტემური უზრუნველყოფა.

ბ) უპატრონო ცხოველების ოპერირება (პროგრამული კოდი 03 02) 2026 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 30,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 0,0 ათასი ლარით.

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)

დაგეგმილი შუალედური შედეგი: შემცირებულია ინფექციურ დაავადებათა გავრცელების რისკ-ფაქტორები და უზრუნველყოფილია ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო, მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო უმეთვალყურეო, უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობა.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:
საბაზისო მაჩვენებელი - 2025 წელს ოპერირებული ძაღლების რაოდენობა-300. **დაგეგმილი მაჩვენებელი** - ოპერირებული ძაღლების რაოდენობა.
მიღწეული მაჩვენებელი - ოპერირებული ძაღლების რაოდენობა.

გ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 06) 2026 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 1499,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1400,7 ათასი ლარით, გეგმა შესრულდა 93,4%-ით.

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ წყალტუბოს დასუფთავების ცენტრი

დაგეგმილი შუალედური შედეგი: ქალაქში სანიტარული წესრიგის შენარჩუნებულია, გაუმჯობესებულია სანიტარული პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი ეწევა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიების (ქუჩები და მოედნები) დაგვა-დასუფთავებას, ანახვეტისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ქალაქგარეთ სპეციალურ ნაგავსაყრელზე გატანას. სამსახური ყოველდღიურ საქმიანობას ახორციელებს თხოვების ფორმით გადმოცემული შვიდი საბუნკერე და ორი მცირე

თვითმცლელი სპეცავტომანქანით, რომლებზეც თვეში საშუალოდ იხარჯება მინიმუმ 7500 და მაქსიმუმ 8500 ლიტრი დიზელის საწვავი. მეეზოვეების მიერ ყოველდღიურად, დილასაღამოს, იგვება ქალაქის ქუჩები და მოედნები. სამსახურის სამოქმედო ტერიტორიაზე (ქვიტირი-ფარცხანაყანევის, კოპიტნარის, ბროწეულას, ვარციხჰესის, გუმბრინის, ბანოჯის, გეგუთის, პატრიკეთის, ტყაჩირის, ოფშკვითის, საყულიის, ქვილიშორის, ჩუნეშის, ხომულისა და გვიშტიბის) განთავსებული ნაგვისშემკრები კონტეინერებიდან და საერთო საცხოვრებლების ბუნკერებიდან ყოველდღიურად ხდება დაახლოებით 50-55 კბ-მდე ტონა საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების გატანა. ყოველდღიურად იწმინდება გზების და გზატკეცილების მიმდებარე ტერიტორიები.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2025 წელს დასუფთავებული ტერიტორიის რაოდენობა 707,5.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დასუფთავებული ტერიტორიის რაოდენობა 707,5.

მიღწეული მაჩვენებელი - დასუფთავებული ტერიტორიის რაოდენობა 707,5.

